

შპს "უოლდგაიდ ენერჯი ლოჯისტიქს"

შპს „ველ ლოჯისტიქს“

*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები*

*2022 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებულით ბაზგარიშგების წლისთვის*

## სარჩევი

|                                                                   |     |
|-------------------------------------------------------------------|-----|
| საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება..... | 3   |
| საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                   | 4   |
| საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....                         | 5   |
| საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებები .....                 | 5-8 |

ფინანსური მდგომარეობა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2022       | 31/12/2021       | 31/12/2020       |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                             |                  |                  |                  |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 46 746           | 113 708          | 10 520           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 98 201           | 216 909          | 456 655          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 |                  | 1 570            | 2 545            |
| მარაგები                                                                                    |                  | 0                | 0                |
| მზა პროდუქცია                                                                               |                  | 0                | 0                |
| საინვესტიციო ქონება                                                                         |                  | 0                | 0                |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 3 443            | 3 312            | 10 368           |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                |                  | 0                | 0                |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 281 976          | 334 659          | 389 876          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         |                  | 0                | 0                |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 805 321          | 854 626          | 903 932          |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         | <b>1 235 687</b> | <b>1 524 784</b> | <b>1 773 896</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                  |                  |                  |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         |                  | 0                | 0                |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 11 495           | 101 981          | 243 133          |
| ანარიცხები                                                                                  |                  | 0                | 0                |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          |                  | 0                | 0                |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  |                  | 0                | 2 082            |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                  |                  | 0                | 0                |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 228 311          | 188 807          | 144 252          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 58 979           | 118 861          | 947 850          |
| მიღებული გრანტები                                                                           |                  | 0                | 0                |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 632 541          | 848 360          | 151 998          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    | <b>931 327</b>   | <b>1 258 009</b> | <b>1 489 315</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                  |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 200              | 200              | 200              |
| საემისიო შემოსავალი                                                                         |                  | 0                | 0                |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                |                  | 0                | 0                |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 304 160          | 266 575          | 284 381          |
| გადაფასების რეზერვი                                                                         |                  | 0                | 0                |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        |                  | 0                | 0                |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი                            | 304 360          | 266 775          | 284 581          |
| არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)                           |                  | 0                | 0                |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>304 360</b>   | <b>266 775</b>   | <b>284 581</b>   |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>1 235 687</b> | <b>1 524 784</b> | <b>1 773 896</b> |

საქმიანობის შედეგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში

| საქმიანობის შედეგები                                                                                                |             |            |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------|------------|
| საქმიანობის შედეგები                                                                                                | 31/12/2022  | 31/12/2021 |
| ნეტო ამონაგები                                                                                                      | 3 300 649   | 2 102 494  |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                                 |             | 0          |
| მომსახურების გაწვიდან                                                                                               | 3 300 649   | 2 102 494  |
| სხვა                                                                                                                |             | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                                                           | - 2 930 825 | -1 654 579 |
| საწყისი მარაგები                                                                                                    |             | 0          |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                  |             | 0          |
| საბოლოო მარაგები                                                                                                    |             | 0          |
| საერთო მოგება                                                                                                       | 369 824     | 447 915    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                                                          |             | 7 108      |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                            | -186 612    | -232 796   |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                                                                          | -104 614    | -109 212   |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                               |             | 0          |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                                    | -15 944     | -41 751    |
| იჯარის ხარჯი                                                                                                        | -10 678     | -6 525     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                            | -194 866    | -178 003   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                              | -512 714    | -561 179   |
| საოპერაციო ჩოგეჩი                                                                                                   | 147 890     | 113 764    |
| გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:                                                                                     |             |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                  |             | 0          |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                                            |             | 0          |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                          |             | 0          |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან                      | 180 475     | 95 458     |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                |             | 0          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                                             |             | 0          |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                            | 37 585      | -17 806    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                           |             | 0          |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                                              | 37 585      | -17 806    |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                                                                   |             |            |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                         |             | 0          |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                              |             | 0          |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                 | 37 585      | -17 806    |
| მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:                                                                                      |             |            |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)                                                     | 37 585      | -17 806    |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)                                                           |             | 0          |
| მოგება / (ზარალი)                                                                                                   | 37 585      | -17 806    |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:                                                                    |             |            |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი                                                  | 37 585      | -17 806    |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი                                                        |             | 0          |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                 | 37 585      | -17 806    |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                 | 266 775     | 284 581    |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') |             | 0          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                      |             | 0          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                               |             | 0          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                           |             | 0          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                      | 304 360     | 266 775    |



## საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთეულ ლარში**

| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              |            |            |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | -26 899    | 68 212     |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0          | 0          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0          | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | -26 899    | 68 212     |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | -40 063    | 34 976     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 113 708    | 10 520     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 46 746     | 113 708    |

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უოლდგაიდ ენერჯი ლოჯისტიკს“(ს/ნ 205216871) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2007 წლის 1 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზირი 12ა. კომპანიის ფიზიკური მისამართებია: 1) საქართველო, თბილისი, მ.ალექსიძის 12; 2) საქართველო, ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.24.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

- 1) 33,34 % წილი გიორგი გოგიაშვილი (პ/ნ 01008004339);
- 2) 33,33 % წილი გიორგი გეწაძე (პ/ნ 01017008111);
- 3) 33,33 % წილი ირაკლი ქათამაძე (პ/ნ 01024004828)

კომპანიის დირექტორია არის გაიორგა გეწაძე (პ/ნ 01017008111). კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს სატვირთო სატრანსპორტო მომსახურების გაწევას.

### 2. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

2020 წლის 28 აგვისტოს კომპანიამ დაარსა შპს „ველ ლოჯისტიკს“ ს/კ: 405409543 და განახორციელა მის საწესდებო კაპიტალში 324 000 ლარის ღირებულების აქტივის შეტანა.

შპს ველ ლოჯისტიკსის 100% წილის მფლობელია შპს უოლდგაიდ ენერჯი ლოჯისტიკს.

კომპანიის დირექტორი არის გიორგი კუბლაშვილი (პ/ნ 01011010235). კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა - სატვირთო სატრანსპორტო მომსახურების გაწევა.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ერთეულ ლარში.

#### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

#### **მოგების გადასახადი**

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და ჩიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებ მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

#### **აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად**

კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:



- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია მომსახურება;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

### *ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

| ძირითადი საშუალებების დასახელება | წლიური<br>განაკვეთი (%) |
|----------------------------------|-------------------------|
| უძრავი ქონება - საოფისე ფართი    | 5%                      |
| ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი  | 20%                     |
| ავტომობილები                     | 20%                     |

იჯარით აღებული ქონების რემონტის დანახარჯი 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### *ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში და კომპანიის სალაროში არსებული ფულის ნაშთისგან.

### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული დებიტორული დავალიანება გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### 4. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 14 სექტემბერს.

შპს „უოლდვაიდ ენერჯი ლოჯისტიკა“-ის

დირექტორი: გიორგი გეწაძე